# სამოთხე მაინტერესებს

ვსწავლობ ჩემს სარწმუნოებას



გამომცემლობა
თ
თიმაში ბავშვები

# სამოთხე მაინტერესებს

მწერალი:
ჩიღემ ოზმენ

მხატვარი:
აჰმეთ ქესგინ

გამომცემელი:
ოსმან ოქჩუ

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირ

დიზაინი:
ქენან ოზჯან





ქვებს შორის წყალი რაკრაკით მიედი-
ნებოდა. წყლის რაკრაკი ადამიანს
ამშვიდებდა. წყლის ხმას რომ უსმენს
ადამიანი, მშვიდდება და ბედნიერებით
ივსება.





მორაკრაკე წყალზე წყლის
ბუშტუკებს მზის სხივი
ანათებდა და პატარა მზეს
ქმნიდა. ამიტომაც ბრწყინავდ-
ნენ ასე ძალიან.

muslim georgia





ამ ხედის შემყურე რამია, თან წყლის ხმას და თან ბაბუას საუბარს უსმენდა. ბაბუა რამიას კარგ ამბავს უყვებოდა. ბაბუას ხმა სულ მცირე წყლის ხმასავით სასიამოვნო იყო:





*საბრალო მონა პატრონს გაქცეოდა, მაგრამ დაეჭირათ და სასიკვდილოდ გაემეტებინათ.

მონა ერთ მოედანზე დაეტოვები-ნათ, რომელიც მაღალი კედლით იყო გარშემორტყმული. მასთან მშიერი ლომი მიუშვეს.

ლომი საბრალო კაცს გამეტებით ეძგერა, მაგრამ უცებ შეჩერდა.





კუდს აქნევდა და ამ კაცის ირგვლივ სიხარულით დარბოდა. შემდეგ კი მონას ხელების ალოკვა დაუწყო.

მაყურებლები გაოცებული უყურებდნენ. მონას ამის მიზეზი ჰკითხეს. მან კი ასეთი რამ მოყვა:

–ჩემს პატრონს რომ გავექეცი, გამოქვაბულს შევაფარე თავი. ეს ლომი საზარელ ხმებს გამოსცემდა და ჩემთან მოვიდა. თათი გამომიწოდა. ვნახე, რომ ბასრი ეკალი შერჭობოდა. ეს ეკალი გამოვაძვრე.







მე და ლომი დავმეგობრდით. ნანადირევი ხორცით მკვებავდა. გამოქვაბულში მეგობრულად ვცხოვრობდით.

ბოლო ნადირობისას ერთმანეთს დავშორდით. სწორედ მაშინ ორივე ცალ-ცალკე შეგვიპყრეს. ლომს ახლა ჩემთან შეხვედრა უხარია.*





muslim georgia



მოსახლეობა ლომის გულმა ააღელვა. ყველა ერთხმად ყვიროდა:

–იცოცხლე კეთილო ადამიანო! იცო-ცხლე კეთილო ადამიანო!

მონა გაათავისუფლეს და საჩუქრები გადასცეს. ლომი შინაური ძაღლივით, ყოველგვარი ზიანის მიუყენებლად, თავის პატრონს გაჰყვა.

მონამ სიკეთის საზღაური მიიღო."

muslim georgia







ბაბუამ ამბავი რომ მოჰყვა გაჩუმდა. რაბია ტაშს უკრავდა და ყვიროდა:

–იცოცხლე კეთილო ადამიანო! იცოცხლე კეთილო ადამიანო!

შემდეგ ბაბუას მიუბრუნდა და ჰკითხა:

–ჩემო ბაბუა, გაკეთებული სიკეთე არასდროს რჩება საზღაურის გარეშე?

–არასდროს. არც სიკეთე და არც ბოროტება არ რჩება საზღაურის გარეშე. ჩვენი გამჩენი ძალზე სამართლიანია, –უპასუხა ბაბუამ.





–თუმცა არიან ხალხი, რომლებიც ბოროტე-ბას სჩადიან. ხომ ასეა? ისინი მათი საქციე-ლის სასჯელს არ ღებულობენ, –თქვა რაბიამ და დაინტერესებულმა ბაბუას შეხედა.

–მართალი ხარ ჩემო რაბია. თუმცა ერთი რამე არ უნდა დაივიწყო, –უპასუხა ბაბუამ.

–რა? –ჰკითხა რაბიამ.

–შემდგომი სამყოფელი. სამყოფელი, სადაც სიკეთე დაჯილდოვდება და ბოროტება დასჯის გარეშე არ დარჩება... –უპასუხა ბაბუამ.









ჩემო პატარავ, ჩვენი საყვარელი შუამავალი ასე ამბობს: "ეს ქვეყანა შემდგომი სამყოფლის მინდორია." გლეხ-ები მიწაში მარცვლებს თესავენ და მას ზრდიან. ერთი მარცვალი ათას მარცვლად იქცევა.

ჩვენს ამ ქვეყანაზე სიკეთეს ვაკეთებთ. ეს სიკეთეები შემდგომ სამყოფელში ჩვენთვის ათასობით სილამაზედ იქცევა. იმის საჩვენებლად, რომ გაკეთებული სიკეთე და ჩადენილი ბოროტება საზღაურის გარეშე არ რჩება, ალლაჰი ჯილდოსა და სასჯელის ნაწილს ამ ქვეყანაზე გვიბოძებს.







მამუამ ცოტა ხნით თვალები ყვავილებს, ხეებსა და ჩიტებს შეავლო. მერე ისევ რამიას შეხედა. დამწუხრებულიყო. საუბარი გააგრძელა:



–ზოგიერთი ივიწყებს, რომ ადამიანადაა გაჩენილი და მოროტებას სჩადის. საკუთარ თავსა და გარშემო მყოფებს ზიანს აყენებს. ისინი მიწაში ვარდის დარგვის მაგივრად, ეკლის დარგვას ამჯობინებენ.







–ბაბუა, შენ მე ერთი ამბავი მომიყევი, –უთხრა რაბიამ.

–აი ის, მეფე ორ მსახურს 24–24 ცალ ოქროს რომ აძლევდა. მერე მათ შორს მინდორში აგზავნის. მათ ასე უთხრა: "ამ 24 ოქროთი გზისა და ბილეთის ხარჯები დაფარეთ, იყიდეთ ყველა საჭირო ნივთი, რომლებიც მინდორში დაგჭირდებათ!"







მათგან ერთ-ერთი ფულს უმიზნოდ ხარჯავდა. მეორე კი იმ ფულით ვაჭრობდა და თავის ფულს ერთს ათასად აქცევდა. მოგვიანებით ის, ვინც ფულს უმიზნოდ ხარჯავ-და დასაჯეს, ის კი, ვინც თავისი ფულით ივაჭრა, დააჯილდოვეს.

-დიახ ჩემო ცკბილო. ძალიან გამიხარდა, ეს ამბავი რომ გახს-ოვდა, -თქვა რამიას ბაბუამ.







–როგორ შეიძლება არ მახსოვდეს. იმ ამბავში ნახსენები 24 ოქრო, ყოვე-ლი დღის 24 საათს ნიშ-ნავს, რომელიც ალლაჰმა გვიბოძა. ზოგიერთი ამ 24 საათს ფუჭად აცარებს, ზოგიც კი ამ 24 საათის განმავლობაში მომგებიანად ვაჭრობს, –თქვა რამიამ.

მე ყოველ დილით რომ ვიღვიძებ, ეს ამბავი მახსენდება. საკუთარ თავს ვეუბნები, რომ დრო ფუჭად არ უნდა გავიყვანო. ღამე დაწოლისას კი ვფიქრობ, "ჩემი ოქროსავით ძვირფასი დრო, ნეტავ, კარგად თუ გამოვიყენე?"







გახარებულმა ბაბუამ გაიცინა. რაბიამ უთხრა:

–ბაბუა, იმის ცოდნა, რომ შემდეგში სამყოფელი არსებობს, ძალიან მახარებს. მზე ყოველ დღე ჩადის და ვიცით რომ ხვალ ამოვა.

ყვავილები ფერს რომ კარგავენ, ვიცით ისევ გაიფურჩქნება.

გაზაფხული მიდის და ვიცით, რომ ისევ მოვა.

ვიცით და ამიტომ არ გვწყდება გული. არაფერი ქრება უკვალოდ. იმის ცოდნა, რომ სამუდამოდ არ გავქრებით, სიკვდილთან შეგუებაში გვეხმარება.





რამიას სიტყვებ-
მა ბაბუა გააკვირვა.
გაუხარდა, რომ მისი
შვილიშვილი ასე კარ-
გად აზროვნებდა.

–ყოჩაღ ჩემო ლამაზო
შვილიშვილო, –თქვა
და რამიას ლოყაზე
აკოცა. რამიაც ბაბუას
მოეხვია. იმის ცოდნა,
რომ საყვარელ ბაბუას
არასდროს დაშორდე-
ბოდა, შემდგომი საუკ-
ოფლის რწმენას უმტ-
კიცებდა.



უკვე ბნელდებოდა. ერთად გაუყვნენ სახლის გზას. უკან დაბრუნებისას ბაბუა ალლაჰს მადლობას უხდიდა, რამიასნაირი შვილიშვილი რომ ჰყავდა.

რამიას გული აღტაცებით იყო სავსე. მზის ჩასვლას უყურებდა და დარწმუნებული იყო, რომ ისევ ამოვიდოდა. სიმართლე რომ ვთქვათ, რამიას სამოთხე ძალიან აინტერესებდა.

